სახალხო გაზეთი

№ 838 ოთხშაბათი, 6 მარტი 1913 წ. № 838

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი''. 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **,,სახალხო გაზეთი''-ს კანტორაში**, (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2 **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში**,

3 **ფოსტით**: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

აზნაურნი რაჟდენ სამსონის ძე იოსელიანი, ოლღა ლორთქიფანიძისა, პარასკევა ნორაკიძისა, პოლიკარპე ლორთქიფანიძე და **იოსებ ნორაკიძე** გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთ, მოკეთეთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—საყვარელი მეუღლის, მეორენი—დისა, ხოლო ორი უკანასკნელი—ცოლის დის

ანდრონიკე სალაყაიას ასულის

ალექსანდრა (ცუცაკია) იოსელიანისას,

რომლის დაკრძალვაც მოხდება **ზედა თეკლათის** ეკლესიაში ხუთშაბათს, 7 მარტს, დილის 9 საათზე. 1096

ახალი კლუბი

შაბათს, 9 მარტს,

საოჯახო საღამო

დირიჟორ ს. ი. პრესმანის საბენეფისოდ

თეატრში

შესდგება სიმფონიური კრება

ანატოლ მიკულის მონაწილეობით.

დაწვრილებით პროგრამებში. 1092

ტფილისის კრუჟოკის დარბაზში

კვირას, 10 მარტს,

უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქალთა

სასარგებლოდ

გაიმართება **საღამო ლოტარია-ალეგრით.**

„ღამე იარში", ბოშათა ხორო, თავისებურის ცეკვით. დივერტისმენტი. ზანგების ბატონი. შორს მოწყენა! ყვავილთა კალათა. ფოსტა. ტიკინი საჩუქრებით. **ჩაის ბუფეტი, შამპანიური.** კრიშონი. ბოლოს დივერტისმენტი. **ც ე კ ვ ა. ჩასაბერ საკრავების ორკესტრი. დასაწყ. საღ. 9 ს.**

შესვლის ფასი 2 მ. 10 კ., სტუდენტებსა და კურსებზე მოსიარულე ქალებზე 1 მ 10 კ. ბილეთ. იყიდ. **ხიდდეკელის მაღაზიაში.** ხოლო საღამოს დღეს კი კრუჟოკში. 140

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

რეჟისორის ალ. რ. წუწუნავას ბენეფისი

ოთხშ., 6 მარტს, სახ. სახ. არსებ. ქართ. სახ. წარმ. მმარ. წრ. მიერ წარ. იქნება

რეჟისორის ალ. რ. წუწუნავას საბენეფისოდ

შეშლილები

პიესა 2 მოქმედებ. ტრ. რამიშვილისა.

2) **ს ა დ გ უ რ ი** (უკანასკნელი სცენა **„სოფლის გმირებიდან"**).

3) **პირველად ტფილისში „რომელი ერთი"** ტრ. ე3. 1 მოქ. ტროლ. ეპიზოდი ნორმანდიელ რაინდთა ცხოვრებიდან, **ბანკოს აჩრდილისა**, თარგ. მ. ქორელისა.

მონაწილეობას მიიღებენ წრის ყველა სცენის-მოყვარენი და თანამშრომელნი.

ბილეთ. ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი ალ. წუწუნავა. თანაშემწე ნ. ჭანკვეტაძე. ქარ. სახ. მმართ. წრ. ადმინ.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა 10 მარტს. 1034

სარატოვის მეკარხნენი სავაჭრო სახლი

„ე. ე. მაიერ"

ერევნის მოედ. „კავკაზის" სასტუმროს ქვეშ.

ვაუწყებთ პატივცემულ ჩვენს მუშტრებს, რომ შობის დღესასწაულების მსგავსად, ჩვენის მთავარ გამგეობის ნებართვით, კვლავ ვნიშნავთ

საგაზაფხულო იაფ-ვაჭრობას შვიდის დღით

ე. ი. ამ წლის 27, 28 თებერ. 1, 2, 4, 5 და 6 მარტს, ნამდვილ ფასებიდან 20%—40% დაკლებით, სახელდობრ:

აბრეშუმეულის სარპინკაზე ვაკლებთ	30 %	
20 გოჯ. ზეფირზე	40	„
აბრეშუმისაზე	30	„
შალეულობის ქსოვილებზე	30	„
ჩულქებსა და წინდებზე	25	„
თეთრეულსა და საყელოებზე	30	„
სხვა და სხვა ტილოზე	20	„
ბამბაზიის ქსოვილებზე	30	„
ბამბაზიაზე	30	„
ფუფაიკებზე	30	„
მაუდის საქონელზე	20	„
აბრეშუმის შარფებზე ქალებ.	30	„
პლუშის საბნებსა და სუფრებზე	30	„
საფარდე ტიულზე	30	„
ქუთაისის ჩეჩუჩაზე	20	„
შეკერილ კაბებზე ქალთათ.	25	„

ვიმედოვნებთ, რომ პატივცემული საზოგადოება პატივსა გვცემს და ჩვენს მაღაზიას ესტუმრება.

პატივისცემით სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერ" 1077

ახალი კლუბი

ხუთშაბათს, 7 მარტს,

საოჯახო საღამო.

ქართულ არტისტთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილ იქნება

ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში

ფარსი 3 მოქმ. გადმ. აბაშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ.ქ. აბაშიძისა, დავითაშვილისა, გოგოლაშვილისა, ქიქოძისა; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, გედევანიშვილი, კ. მესხი და მგალობლიშვილი. თეატრში შესვლა უფასოა.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს: კაცები—1 მან., მანდილოსნები—50 კ., სტუდენტები—25 კ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე 1092.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

აუწყებს წევრებს, რომ კვირას, 10 მარტს 1913 წ., ნაშუადღევის 4 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო კრება

გადასაწყვეტად შემდეგ განსახილველ საგნებისა:

1. საზაფხულო სეზონისათვის დასის მოწყობა.
2. თეატრის შეკეთება და გალამაზება.
3. საზაფხულო ბაღის გაშენება.

კრებაზე დასწრება შეუძლიან მხოლოდ წრის სრულ-უფლებიან წევრებს. 1029.

დილის 9—10 ს. ღარიბები'ს მიღება უფასოა.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით**. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: [illegible] ბებუთოვის ქ., № 23 (ვანოვის ქ. ტელეფ. კუთხე). 97

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურ-გიული სნეულ-ებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ზ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და [illegible] სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12 **თოკაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალ-თა სნეუ-ლებ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606 " 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ.—6½ საათ. ჯავთის ქ. № 6.

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის** კანტორაში **ბათუმში**, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილებაა: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენ და უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს კ ნტორა** ამით მოაგონებს, რომ თესლი დროზედ დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსავლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

კახეთის მევენახეთა საზოგადოება

კახეთის გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ

14 მარტს, საღამოს 7 საათზე, მთავარ გამგეობის სადგომში მოწვეულია

(გოგოლის ქ., 63)

საზოგადოების

წევრთა საგანგებო კრება

განსახილველი საგნები:

1) ახალ განყოფილებათა გახსნა.

2) ახალ წევრთა მიღება

და 3) განხილვა იმ წევრთა სიისა, რომელნიც საზოგადოების წესდებას არ ასრულებენ. 1095

ვასწავლი

ქართულ

სიმღერა - გალობას

და ვადგენ **100 კაცისაგან** შემდგარ გუნდს. **თამარ მეფის 700 წ. სადღესასწაულოდ.** გუნდის შესახებ მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერვა **მიხეილ კავსაძესთან**, ოთხშაბ., შაბ. და კვირაობით 5—7 საათამდე: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 27. 125

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ. ბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აკრეფვა ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606" 1053

ექიმი **კბილისა** **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავად. მყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. დაბაშვილისა.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ ქ.** № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, [illegible] 102

ახალი ამბავი

ტფილისი

მეფის მოადგილის ავადმყოფობის გამო. მეფის მოადგილის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის ავადმყოფობაში 4 მარტს, დღისით ცვლილება არ მომხდარა. ღამის პირველი ნახევარი მშვიდად გაატარა, ხოლო მეორე ნახევარი-მოუსვენრად. მთელს ღამეს ექვს საათამდე ეძინა, დრო-გამოშვებით. პულსი 60—70 წამში. სუნთქვა ხშირი აქვს. კვლავ სუსტად არის.

3 მარტს მეტეხის ციხის ეკლესიაში მღვდელმა მ. დევიძემ ციხის ადმინისტრაციისა და ტუსაღთა თანადასწრებით პარაკლისი გადაიხადა მეფის მოადგილის განკურნებისათვის.

გუშინ მანთაშევის სკოლაში დეკანოზმა ნ. მაჭარაშვილმა პარაკლისი გადაიხადა მეფის მოადგილის განკურნებისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ პეტერბურგში, 27 თებერვალს, ჩხრეკის დროს **დააპატიმრეს** ორი ქართველი და ერთი სომეხი.

◆ ამ მოკლე ხანში, ტფილისში ჩამოვა **გიორგი მეფარიშვილი** და ქართულად წაიკითხავს **ლექციას**: „დეტერმინიზმი ანუ ნების უთავისუფლობა“. ლექციის პროგრამა: I) შეუძლებლობა ნების თავისუფლობისა და დაფუძნება ნების უთავისუფლობისა, ერთეულობა მსოფლიოსი, ფიზიკური და ფსიხიური მოვლენები, მიზნიანობა და მექანიზმი ბუნების მოვლენებში, წარმოშობა გრძნობისა, აზრისა და ნებისა, აქსიომები ცნებისა, საიდუმლოება არსისა, ნების თავისუფლობის და უთავისუფლობის ცნებები, მიზეზი და მოქმედება, ჰიპნოზი და ნების უთავისუფლობა, დაბადება, სიცოცხლე და სიკვდილი, როგორც აუცილებელი მოვლენანი, ბედისწერა (ფატალიზმი), მნიშვნელობა ადამიანისა მსოფლიოში. II) პრაქტიკული მნიშვნელობა დეტერმინიზმისა და დეტერმინისტულ მსოფლმხედველობისა, პრაქტიკა და თეორია, ძალა და მნიშვნელობა იდეებისა, აუცილებლობა და სარგებლიანობა ჭეშმარიტების შეგნებისა, ლოღიკა დეტერმინისტულ მსჯელობისა, მორალი დეტერმინიზმისა, ეგოიზმი და ალტრუიზმი, ცოდნა მომავალისა, მოსპობა სოლიპსიზმისა, სკეპტიციზმისა და პესიმიზმისა.

◆ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალი **„ნაკადული“** მცირეწლოვანთათვის (მე-4 ნომერი) შემდეგის შინაარსით: საიდუმლო—სურათი, პატარა სიმღერა—ლექსი ი. რუხაძისა, პირველი ჯამაგირი—ი. ევდოშვილისა, ლოკოკინა და თაგვი (არაკი ლექსად) გერმანულიდან, ა. შანშესი, სახლის ანგელოზი—ზღაპარი (დასასრული) ალ. ნათაძისა, ბროლიას მოგონებანი—ივ. ელიაშვილისა. **მოზრდილთათვის**: ბავშვი და დედოფალა—ქანდაკება ლ. დ. ამბროზიოსი, ძღვნად ლადოს—ლექსი ი. გრიშაშვილისა, ბუნების მგოსანი (დასასრ.) ვაჟა-ფშაველასი, კოტეს დანაშაული—პიესა სამ მოქმედებად ნინო ნაკაშიძისა, ზამთარში—ლექსი დარია ახვლედიანისა, უძველესი დროის ბავშვის თავგადასავალი—მოთხ. ე. დ. ერველისა (გაგრძ.) თარგმ. მარ. იაშვილისა, ბედნიერი შემთხვევა—კონისა, საქართველო (გაგრძ.) მ. ჯანაშვილისა, უჯრედები და ქსოვილები—გ. ანთელაძისა, მითოლოგია—ალ. მიქაბერიძისა, გასართობი: შარადები, რებუსი და ახსნა.

◆ ამას წინედ ახალ ამბავში გვქონდა მოხსენებული, რომ მეტეხის ციხიდან მანიფესტით, სხვათა შორის, **იოსებ იმედაშვილიც** გაანთავისუფლესო. ეს ცნობა სწორე არ გამოდგა. იმედაშვილს მანიფესტი არ შეეხებია, მას კიდევ ცხრა თვე უკლია გადაწყვეტილ სასჯელის მოსახდელად. მისი სახლობა (სამი მცირე-წლოვანი შვილით) საშინელ ნივთიერ გასაჭირს განიცდის.

◆ 2 მარტს, ქალაქის თავშესაფარში უეცრად **გარდაიცვალა** გიორგი მოსეშვილი (60 წლისა). მიცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაისტუმრეს.

◆ 1 მარტს პოლიციამ **შეიპყრო** სიღნაღ. მაზრ. სოფ. საქობოს მცხოვრები სტეფანე ქიტესას ძე ჯიღბაშვილი, რომელიც 4 წლით გადასახლებული ყოფილა გორში და ტფილისში ჩამოსულა. მას ეტაპით ისევ გორში ჰგზავნიან.

◆ 3 მარტს პოლიციის სხვა და სხვა უბანში 123 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ 2 მარტს პოლიციამ 8 მათხოვარი შეიპყრო.

◆ **ტრამვაი.** ქალაქის კანტროლიორმა ა. ს. ლანდიამ შუამდგომლობა აღძრა მთავარ კანტროლიორის წინაშე, რათა ტრამვაის დირექცია კვლავ დააჯარიმოს თებერვლის განმავლობაში ტრამვაის წესიერ მოძრაობის დარღვევისათვის: ვაგონთა საკმარის რიცხვის არ გამოშვებისათვის—672 მან., ვაგონების გვიან გამოშვებისათვის სამუშაოდ და მოძრაობის ადრე შეწყვეტისათვის—5,168 მან. და ზოგიერთ ვაგონის სრულიად გაუქმებისათვის—160 მან., სულ 6,000 მან.

◆ ქალაქის გამგეობის **სამიწისმზომელო განყოფილებაში** აღმოჩენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ ხმების გამო ხმოსანთა ერთი ჯგუფი შეკითხვას ამზადებენ. შეკითხვას შეიტანენ საბჭოს უახლოეს კრებაზე.

◆ პატარძეულსა და საგარეჯოს შუა დასახლებულმა რუსებმა **შუამდგომლობა** აღძრეს ეგზარხოსის წინაშე, რათა მათ ეკლესია აუშენონ და ცალკე მღვდელი დაუნიშნონ. სულ 13 კომლია. მათ დათმობილი აქვთ 200 დესეტინა მიწა.

◆ იშვიათი **„ჟურნალისტი“**. გაზეთ „ზაკავკაზიე“-ს თანამშრომელთა კოლლეგიამ მსჯელობა იქონია თავის თანამშრომლის ლევ უმანსკის (ლევ დნეპროვსკის) საქციელის გამო, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ რედაქციის საიდუმლო, ისიც განზრახ დამახინჯებული, დაინტერესებულს პირს გადასცა. კოლლეგიამ ერთხმად სცნო უმანსკის საქციელი დასაგმობელად, ერთხმად აღშფოთება გამოუცხადა მას და ხმის უმეტესობით დაადგინა, სამუდამოდ გააძევოს უმანსკი რედაქციის თანამშრომლობ. დან.

◆ **კიდევ სასალახოს რევიზიის გამო.** სარევიზიო კომისიის თავჯდომარემ ნ. ხუნუნცმა დღეისთვის, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში სარევიზიო კომისიის კრება დანიშნა. კრებამ უნდა განიხილოს მცირე კომისიის მოხსენება სასალახოს რევიზიის შესახებ.

◆ **ტფ. მდაბიო მოქალაქეთა** რწმუნებულნი თავის უახლოეს კრებაზე ხარჯის ამკრებ მამასახლისსა დ 4 მისს თანაშემწეს აირჩევს. ამასთანავე მათ შორის გაანაწილებს 900 მან., რომელიც გადადებულია ამ საქმისთვის.

◆ დღემდე ქალაქის გამგეობა განცხადებებს საჯარო ვაჭრობის შესახებ ყველა გაზეთებში არა ბეჭდავს ხოლმე, რის გამოც ვაჭრობის დღე ყველა მსურველმა არ იცის ხოლმე. ამიტომ ხმოსანთა ერთს ჯგუფს აზრად მქვს, აღძრას შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა გამგეობას დაავალოს ტფ ყველა გაზეთებში დაბეჭდვა ასეთ განცხადებებისა.

◆ **საბირჟო ცნობები:** 5 მარტს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 90 კ., აძლევენ—85 მან. 50 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებეს—82 მ. 75 კ., აძლევენ—82 მ. 25 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—78 მ., აძლევენ—77 მ. 25 კაპ.

ქუთაისი

◆ გაზ. **„იმერეთი“** და **„მერცხალი“** ხუთას-ხუთასი მანათით დააჯარიმეს. რადგანაც რედაქტორებმა ეს ფული ვერ შეიტანეს, ორივენი დააპატიმრეს.

◆ კვირას, 3 მარტს ქუთათურ ვაჭართა კრება მოხდა **საკომერციო სასწავლებლის** დასაარსებლად. კრებამ საქმის მოსაწყობად აირჩიეს: იოსებ კემულარია, პეტრე გოკიელოვი, ივანე პურადაშვილი, ალიბეგოვი, რაფ. დათეშიძე, ნეს. ბარამიძე და არონ რიჟინაშვილი. კრებამ მათვე დაავალა ვლ. მესხიშვილის იუბილეში მონაწილეობა მიიღონ.

◆ **ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ** თ-დი ილია გრიგოლის ძე აბაშიძე ყვირილისა, ჭიათურისა და საჩხერის აგენტად დანიშნა.

◆ 6 მარტს **ქუთაისის საოლქო სასამართლო** გაარჩევს საქმეს ბოჭორიშვილისა, ნეფარიშვილისა, გუმბერიძისა და ხეთაგუროვისას.

სოფლად.

◆ **დ. ხარაგოული.** ჩვენსკენ მარტშიაც საკმაოდ ცივა. საშინელი ქარიშხალია.

◆ ადგილობრივ ქალთა სკოლაში ხელსაქმის მასწავლებლად ქ-ნი ვერა პაპავა მოიწვიეს.

ტფ. ქალაქის საბჭო

4 მარტის სხდომა

კრება საღამოს 8 ნახ. საათზე დაიწყო თ-დ **ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით. ხმოსნები და გარეშენიც ბლომად იყვნენ.

საქმის მწარმოებელმა **ს. ბ. იუზბაშევმა** (ქალაქის მდივანი მ. ა. ჯაბარი კრებას არ დასწრებია ავადმყოფობის გამო) წაიკითხა წინა კრების ანგარიშის სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც ხმ. ი. სულაბერიძის ცნობილ საქმეს ეხებოდა.

ხმ. პ. ა. გოთუა. საჭიროა მთელი ოქმის (32 თაბახია) წაკითხვა, რათა შევამოწმოთ, ყველა ხმოსნის სიტყვები სწორედ არის ჩაწერილი თუ არა.

თავმჯდომარე. ოქმი ძალიან ვრცელია. თუ გნებავთ წაგიკითხავთ. თუ არა და ყველამ თვით წაიკითხოს გუბერნატორთან გაგზავნამდე.

ხმ. ა. ს. ბაბოვი. უკანასკნელ ხანს გაზეთ „ზაკავკაზიესა“ და „ზაკავკაზსკაია რეჩში“ ვრცელი წერილები დაიბეჭდა სასალახოს რევიზიის შესახებ. მოყვანილია რევიზორის მოხსენებაც. წერილები ყველგან დიდს სენსაციას იწვევს და ათასგვარ აზრსა ჰბადებს. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიამ საქმის ნამდვილი ვითარება გაგვაგებინოს.

ხმ. რ. იოანესიანი (ა. ბაბოვს ემხრობა). კარგი იქნება გამგეობამ ახლაც გაგვაგებინოს, რა მოხდა, რომელ „ბნელ საქმეებს“ და რომელ „ჯურღმულებს“ ჰგულისხმობენ გაზეთები. სად რა ნახეს ასეთი? ისიც საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ მისცა გაზეთებს რევიზორების ოქმი? იქნება ამაზე რაიმე პასუხი მოგვცენ რევიზორებმა—მცირე-კომისიის წევრებმა, კეილმა და ტერტეროვმა, რომელთა მოხსენებაც ჯერ სარევიზიო კომისიას არ განუხილავს და უკვე გაზეთებში დაიბეჭდა?

ხმ. ხუნუნცი (სარევიზიო კომისიის თავჯდომარე). სარევიზიო კომისია უკვე შეუდგა რევიზორთა მოხსენების განხილვას და შედეგს თავის დროზე გაცნობებთ. ამ ჟამად რისამე საჯაროდ თქმა შეუძლებლად მიმაჩნია. კერძოდ ჩემი აზრი ის არის, რომ სასალახოში არავითარი ბოროტმოქმედება არ მომხდარა. მოხსენების დედანი მხოლოდ ჩვენა გვაქვს, მისი წაკითხვა ხმოსანთაც არ შეუძლიათ და გაზეთებში კი უკვე დაიბეჭდა. ჩვენ აღშფოთებულნი ვართ...

ხმ. პ. გოთუა. რითი?

ხმ. ტერტეროვი (სასალახოს რევიზორთაგანი). დიდად ვწუხვარ, რომ ჩვენმა რევიზიამ მწვავე ხასიათი მიიღო. პირველად სასალახოში რევიზორად მე საქმის სიყვარულით წავედი და არც მეგონა, თუ შემდეგ მოვსტყუვდებოდი. კერძოდ ჩემი აზრი ის არის, რომ სასალახოში არავითარი ბოროტ-მოქმედება არა ყოფილა. იყო მხოლოდ დაუდევრობა. ჩვენი მოხსენება როგორ მოხვდა გაზეთებში, ამისი არა ვიცი-რა.

ხმ. კეილი. სარევიზო კომისიამ დაადგინა, მოხსენება ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ შეენახა. ეს დადგენილება სავალდებულო იყო სარევიზიო კომისიის წევრთათვის და არა ხმოსნებისათვის. ი. სულაბერიძე სარევიზიო კომისიის წევრად აღარ არის. ამიტომ მას შეეძლო, გაზეთებისთვის მოხსენება გადაეცა.

ხმ. პ. გოთუა. საკვირველია, რომ აქ საქმეს გვერდზე უვლიან და იმას იკვლევენ, რევიზორების მოხსენება გაზეთებში როგორ მოხვდაო. მადლობა ღმერთს. პრესა არ ექვემდებარება არც სარევიზიო კომისიასა და არც ქალაქის გამგეობასა. რევიზორ-ხმოსნებს (კეილსა და ტერტეროვს) მასალა, როგორც დარმწუნდით, გაზეთებისთვის არ გადაუციათ. გაზეთებმა მოხსენება როგორ იშოვეს, ეს ჩვენი საქმე არ არის, გამოსარკვევი მხოლოდ ის არის, მოხსენება სწორედ არის გადაცემული თუ არა. რევიზორები ამბობენ, გაზეთებს ცნობები სწორედ გადაუციათო.

ხმ. ვესელოვზოროვი. რევიზორების მოხსენებაში კერძოდ მე არავითარს საშინელს რამეს არა ვხედავ. იგი არავითარს სერიოზულს შთაბეჭდილებას არ სტოვებს.

ხმ. ი. დოლუხანოვი მას ემხრობა.

ხმ. ხუნდაძის აზრით, მოხსენება დიდს შთაბეჭდილებას ახდენს.

ხმ. ხუნუნცი. მოხსენება წარმოადგენს ნედლს მასალას, რომელიც სარევიზიო კომისიას უნდა განეხილა. ეს მასალა კი განხილვამდე გაზეთებში მოხვდა რაღაც გზით. არც ერთი პრესა, რომელიც თავის თავს პატივსა სცემს, ასეთის კონტრაბანდულის გზით მასალას არ იშოვის. თუ ეს ნედლი მასალა გაზეთებში მოხვდა, ამის მიზეზი სულ სხვა გარეშე გარემოებანი და მოსაზრებანია და არა საქმის სიყვარული. ამ საქმის ჩამდენნი ქალაქის თვით-მმართველობის მეგობრები არ არიან.

ხმ. პ. გოთუა. წინად გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები სასალახოზე, სახელდობრ მიწის სამუშაოს შესახებ. იქ ნათქვამი იყო, რომ სარევიზიო კომისია დაეთანხმა რევიზორთა მოხსენებასაო. იმ დროს ხმ. გალკიანმა საბჭოს კრებაზე შეკითხვა შეიტანა, რამდენად მართალია გაზეთებში მოთავსებული ცნობაო. მაშინ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ხუნუნცმა გადაჭრით განაცხადა, „გაზეთებში მოთავსებული ცნობა მტკნარ სიცრუეს წარმოადგენსო.“ შემდეგ გამოირკვა, რომ გაზეთების ცნობა მართალი იყო, ხოლო ხუნუნცმა იცრუა. ახლა პრესასაცა და ხალხსაც უფლება აქვს, არ ენდოს სარევიზიო კომისიას...

თავმჯდომარე (სიტყვას აწყვეტინებს). ეგ სიტყვები უხერხულია!

ხმ. პ. გოთუა. მე უკეთ ვიცი, რა არის უხერხული და რა არა. ყოვლად შეუძლებელია ახლა ამ საქმის ფარულად განხილვა. იგი კაბინეთის საზღვრებს გასცდა, ხალხი დაინტერესა. დაე, პრესამაც ამოიღოს ხმა და საქმეს სინათლე მოეფინოს. თუ რევიზორთა მოხსენება ზოგს უმნიშვნელოდ მიაჩნიათ, არიან ისეთებიც, რომლებზედაც ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

კრება შეუდგა „ახალშენის“ (ვ კეზე) დაგეგმისა და ქუჩების სახელი დარქმევის საკითხის განხილვას. ახალშენის მცხოვრებნი შუამდგომლ ბენ, რათა ის ადგილი გამგე ჩქარა დაგეგმოს, რომ შეეძლ შენობების აგება.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა: რა სიგანისა უნდა იყოს ქუჩები. ერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანი იყოს, დანარჩენი ექვს-ექვს საჟენიანი. მეორეთა აზრით კი ყველა ქუჩა ათ საჟენიანი უნდა იყოს, თანხმად კანონი ა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, „ახალშენი“ ადგილობრივ დაათვალიეროს და საკითხი ისე გადასწყვიტოს.

თავმჯდომარე. ლ. გ. ევანგულოვმა სარევიზიო კომისიის წევრობა თავი დაანება. გთხოვთ იმის ადგ ლას სხვა აირჩიოთ.

საბჭომ მიიღო მხედველობაშ რომ ევანგულოვმა წევრობაზე უარ შესახებ განცხადება სარევიზიო კომისიას წარუდგინა და არა საბჭოს, რომელმაც იგი სარევიზიო კომისიის წევრად აირჩია, რომ ამჟამად სარევიზიო კომისიას სერიოზული მუშაობა აქვს და წევრების ხშირ-ხშირად წასვლა საქმეს შეაფერხებს და დაადგინა: სთხოვოს ლ. ევანგულოვს, რათა სარევიზიო კომისიის წევრად კვლავ დარჩეს.

ქალაქის ფერშალ **მასტიკოვ ქვრივს** საბჭომ 176 მან. ყოველ წლიური პენსია დაუნიშნა, ხოლ ქალაქის მუშის საკოვის ქრივს 300 მან. ერთდროული დახმარება.

ფეოდოსიევის ქუჩის გაფართოვება მ. მ. მირზოევის მიწასთან საბჭომ საჭიროდ სცნო და დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა, რათა მ. მ. მირზოევს იძულებით ჩამოერთვა იმდენი მიწა, რომ ქუჩის სიგანე 4 1/ არშინი გახდეს.

მ. ნ. ათაბეგოვი (გამგეობის წევრი) ი. მ. მირზოევის სახელობის სტიპენდია ქალაქს თავდაპირველად 25 ჰქონდა, შემდეგ 30 გახდა. ახლა, როდესაც ამავ მიზნისთვის ი. გ. მირზოევის მიერ ნაანდერძევი პაიები კარგ ფასებში გაიყიდა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ი. მ. მირზოევის სახელობაზე 70 სტიპენდია დაარსოს.

საბჭომ გამგეობის დადგენილება უკამათოდ მიიღო.

კარგა ხანია **შიო არჩუაძე** ქალაქს ზარალს უჩიოდა 1637 მანეთისას. არჩუაძემ საჩივარი სამოსამართლო პალატაში მოიგო და ახლა ფულსა თხოულობდა. საბჭომ დაადგინა, ეს საკითხი გადასცეს საიურიდიო კომისიას, რომელიც გამოარკვევს, შესაძლებელია თუ არა განაჩენის გასაჩივრება სენატში.

რუსეთის იმპერიის სომეხ-კათოლიკეთა ადმინისტრატორი ქალაქს უფასოდ მიწას სთხოვდა ტფ. სომეხ

საზოგადოებრივი ჰანგები

დავ. კლდიაშვილის თხზულებებში

ბ-ნი კლდიაშვილი პირველ ყოვლისა წმინდა ბელეტრისტია და სწორედ ამით დაიმსახურა მან ჩვენი საზოგადოების ყურადღებაც. ჩვენი ცხოვრების უტყუარი სურათების დახატვით, ღრმად დამაკვირვებელ საუცხოვო ნიჭით და ნაზი, აღმზრდელობითი ხასიათის ჰუმორით მან თვალი აუხილა ქართველ ხალხს და აცნობინა საკუთარი ყოფა-ცხოვრების გაჭირვებული მდგომარეობა. კლდიაშვილს თავის თხზულებებში ერთი რომელიმე ახალი გზა არ უჩვენებია, პირიქით, მან დაგვაკვირვა და შეგვაგნებინა საერთოდ **ახალი გზის ძებნის საჭიროება.** თუ რომელ გზას დაადგება სახელდობრ ქართველი ხალხი თავის ბედშავ მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ეს ბელეტრისტს არ შეეხება, ეს მისი საქმეც არ არის. ჩვენი ვალია საფუძვლიანად შევისწავლოთ ქართ. მწერლები და და ვსცნად მათი მისწრაფებანი. სხვა ჩვენსავით პატარა ერი, რომელსაც ყაზბეგისა, ნინოშვილისა და კლდიაშვილისთანა ბელეტრისტები ჰყავს, უეჭველია, მათ ქება-დიდებას მთელ ქვეყანას მოჰფენს, შინაურსა და გარეულს თანაბრად შეაჯერებს. ჩვენი მწერლები კი არ არიან ჩვენ მიერ შესწავლილნი და პატივცემულნი, როგორც ეს მათ უკვდავ სახელს და დიად ღვაწლს შეეფერება. ჩვენ, ქართველები, მხოლოდ მორცხვი ადამიანის თავმდაბლობით ვიტყვით ხოლმე: ამა თუ იმ მწერალს „წინსვლა ეტყობა“-ო, „მოსალოდნელია ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში თვალ-საჩინო ადგილი დაიჭიროს“-ო... მორჩა და გათავდა. მაგრამ მარტო ეს არა კმარა. უცხო ქვეყნებში სამშობლო მწერლობის შესასწავლად მთელი წრეები და საზოგადო დაწესებულებებიც კი არსებობს. ჩვენში? ჩვენ მხოლოდ ეხლა ვიღვიძებთ, ეხლა ვერკვევით ხანგრძლივი ძილისაგან და... ესეც ნუგეშია! თუ ნინოშვილი ბელეტრისტ-პუბლიცისტი იყო და ძვირფასი განძი შესძინა ჩვენს მწერლობას, რითაც წარუხოცელი კვალი დასტოვა ქართველ ხალხის გულში და მის ლიტერატურაში, დავით კლდიაშვილი უმთავრესად წმინდა ბელეტრისტია და სწორედ ეს შეადგენს მის მწერლობის უკვდავსა და მაღალს ღირსებას. ამაშია მისი ძლიერება, და თუ გნებავთ, მთელი მისი მნიშვნელობაც. მართალია მთელს თხზულებებში ცხოვრების სურათებთან ერთად ბლომად არის გაფანტული კლდიაშვილის მიერ გამოთქმული კერძოდ მისი საკუთარი აზრები, მაგრამ ავტორმა ამით თავისებურად განმარტა აქა-იქ ეს სურათები და ზოგიერთ მოქმედ პირთა სულიერი განცდა-მდგომარეობა. აქ გაერთიანებულია ბელეტრისტი და პიროვნება. აი, ამ აზრებსა და სურათებს უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება.

შევეხები კლდიაშვილის იმ მოთხრობებს, რომელთაც, ჩემის აზრით, მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს და სადაც უფრო ნათლადა სჩანს ჩვენი აზრის დამამოწმებელი ადგილები. ესენია: „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ქამუშაძის გაჭირვება“, „მსხვერპლი“, „მიქელა“, „როსტომ მანველიძე“ და „მრევლში“.

პირველ ორ მოთხრობაში ორი მომენტია საყურადღებო, გაღარიბებულ აზნაურთა ცხოვრებიდან აღებული, რომელიც მათ უმთავრეს შინარსს შეადგენს: **პირველია** მამულის შემცირების შიშით გამოწვეული დარდი პლატონ სამანიშვილისა და მისი მეცადინეობა მოსალოდნელ უბედურების ასაცილებლად; მეორე—**შეგნება ახალი გზის მონახვის საჭიროებისა.** კლდიაშვილი ჰხედავს, რომ ქართველ გაღარიბებულ აზნაურობას საარსებო სახსარი აღარ გააჩნია; ამიტომ აუცილებელ საჭიროდა სთვლის **დააკვირვოს იგი და შეაგნებინოს,** რომ მას, ფაქტიურად „ყოველივე უფლება ჩამორთმეულს, გაგლეხკაცებულს“,—როგორც როსტომ მანველიძე ამბობს თავის თავზე და საზოგადოდ თავად-აზნაურობაზე,—გლეხებთან გათანასწორებულს, ერთად ერთი გზა-ღა დარჩენია თავისი ადამიანურ სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ეს არის საკუთარი შრომა, შრომა განუწყვეტელი და **დროისა და გარემოების შესაფერი.** თუ იგი ასე არ მოიქცევა, თუ იგი შესაბამ ღონისძიებას არ გამონახავს, იძულებული გახდება ან შიმშილს ემსხვერპლოს ლევან ქამუშაძესავით, ან გზა-შარას გაუდგეს მოწყვეტიძის შვილებსავით, ან წავიდეს სადმე, „გადაიკარგოს“, რომ **დღიური ლუკმა** მაინც მოიპოვოს. უმიწა-წყლო ან მცირე მამულის პატრონმა ახალი გზა უნდა ეძებოს ცხოვრებისათვის, მაგრამ; ამასთანავე, თუ იგი შესაფერისი არ არის, თუ რიგიანად არ არის იგი **არჩეული**, ამ გზას, უეჭველია, ახალი უბედურება მოჰყვება; უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მწირი ყოველ-დღიური ლუკმით უნდა დაკმაყოფილდეს ამ ახალ გზაზე შემდგარი ადამიანი. და განა საკეთილო გზად ჩაითვლება ქალაქში გადასახლება, სადაც ყოველგვარ სამარცხვინო საშუალებით უნდა მოიპოვონ დღიური საზრდო? ასეთი შეუსაბამო გზა დაჰგმო კიდეც ბ. კლდიაშვილმა და გაჰკიცხა მასზე შემდგარი ჰინჰარაძე-ბიაშვილი და მათი შეუგნებელი მიმდევარი, გზა აბნეული ოტია ქამუშაძე. ამას ქვევით უფრო ნათლად დავინახავთ. კლდიაშვილს რომ სამანიშვილი და ქამუშაძე ერთს გარკვეულს გზაზე დაეყენებინა და ეთქვა: ისე იმოქმედეთ, როგორც მე გირჩიოთ და გიკარნახოთო, მიშინ მისი შემოქმედება მნიშვნელობას დაჰკარგავდა და უბრალო მშრალ პროპაგანდად გადაიქცეოდა. მერე ვინ იცის კიდევ, როგორი ღირსებისა გამოდგებოდა მისი „რეცეპტი“. მოთხრობიდან ვიცით, რომ „მარტო მიწა“ ვერ იხსნის ქამუშაძეს გაჭირვებისაგან, არამედ საჭიროა მიწის გარდა **„განსხვავებული გარჯა, განსხვავებული შრომა“**, მაგრამ, როგორც მხატვარი, ბელეტრისტი ვერა კისრულობს სახელდობრ რომელიმე ახალი გზის ჩვენებას, თვით ცხოვრებაშიც რომ ყოფილიყო იგი ნათლად გამორკვეული. თუ ახალ გზაზე შეიძლება ლაპარაკი, იგი ისევ აზნაურების გლეხებთან გათანასწორება-გაერთიანებაში უნდა დავინახოთ შრომასა და შრომის მოყვარეობის მხრივ, სანამ სხვა, უფრო შესაფერ გზას მონახავდნენ თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მომავალი ცხოვრების უფრო მტკიცე ნიადაგზე დასამყარებლად. მართალია, ჩვენს თავად-აზნაურობას, როგორც უპირატესობით აღჭურვილ წოდებას, დიდი ხანია რაც „სულთათანა“ უგალობეს, მაგრამ იგი ცოცხალია როგორც დანარჩენ მშრომელ-ქართველთა სწორუფლებიანი მოძმე, მისი თანასწორი წევრი. ჩვენს თავად-აზნაურობას „კეთილშობილება და მასთან შეკავშირებული სხვა და სხვა უფლებანი უკანასკნელ ხანამდე განუყრელ და განუშორებელ საკუთრებად მიაჩნდა“. ასეთია, მაგალითად, კლდიაშვილის **„როსტომ მანველიძე“**. დღეს კი ამ ბრწყინვალე წოდებამ დაჰკარგა თავისი უწინდელი დიდება და სახელი, რომელსაც იგი აქამდის ეტრფოდა; იგი დღეს საბოლოოდ უნდა გამოეთხოვოს ძველ გზას, უზრუნველ-უდარდელ ყოფა-ცხოვრებას და გუშინდელი „ბატონ-პატრონი“ დღეს, იძულებულია, თავის „მონის“ ამხანაგი გახდეს. როსტომ მანველიძე უკვე გაღატაკებულ, მაგრამ ისევ მედიდურ აზნაურთა წარმომადგენელია, იმ აზნაურთა, რომელნიც „ჩხუბი-დავიდარაბით ცდილობდენ თავიანთი გვარის დიდებულობისა და წარჩინებულობის დაცვას“ მაშინ, როდესაც „ცხოვრება თავისას შვრებოდა: გვარი შეუბრალებელ კლებაში შეჰყავდა, გადაქაჩულ აზნაურებს უკან-უკან სწევდა, დღედადღე გაჭირვებას უმატებდა“. გამჭრიახობას, შორს მხედველობას მოკლებული „როსტომი ვერ ამჩნევდა, რომ **მისი ოჯახი ნიავდებოდა, ცივდებოდა, ინგრეოდა**“.

მეოთხმოცე და მეოთხმოცდა-ათე წლებში ქართველი თავად-აზნაურობა **ჯერ** კიდევ თავის გაფრენილს ბედნიერებაზე ოცნებობდა, ჯერ ისევ წარსული ბატონობ მოგონებით სტკბებოდა და სც ცხლობდა; ცხოვრების ახალ პირ ბებს ჯერაც ვერ შეჰრიგებოდა ვერ შეჰგუებოდა; არც მომავლ სათვის ზრუნვა ჰქონდა საკმაოდ გა თვალისწინებული. საკუთარის შრომით საზრდოს მოპოება მას სათაკილოდ მიაჩნდა და არც შეეძლო უცოდინარობისა და მიუჩვევლობის გამო, გაუნათლებელმა, მუშა ხელს მოკლებულმა, თავად-აზნაურობამ ჯერ მიწა გაიხადა თავის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ საშუალებად და შემდეგ არავითარ დამამცირებელსა და გამათახსირებელს ზომას არ ერიდებოდა, აღარ ჰზოგავდა. ასეთი აზნაურობის წარმომადგენელნი არიან მაჭანკალი სოლომონ მორბელაძე და „ქამუშაძის გაჭირვებაში“ დახასიათებული ქველ ძე.*) „ქველიძე იძულებული შეიქმ ხვეწნა დაეწყო გლეხებისათვის, თავ დაიხსენითო და ფული მომეცითო. ცოტ-ცოტად, ნაწილ-ნაწილად აღებული ფული მალე შეიჭამა, ნელნელა ადგილებიც გაიყიდა და როცა, მისივე დაუდევრობით, უკანასკნელი ქონება ბანკს გააყიდვინა, მშრალზე დარჩენილმა სარდიონმა მხოლოდ მაშინ წამოცქვიტა ყურები, მაგრამ გვიან-ღა იყო“-ო,—გვეუბნება ავტორი.

ვისაც კიდევ შერჩენოდა ცოტაოდენი მიწა, იგი ქეიფსა და დროს ტარებას ეძლეოდა, მაგრამ ვისაც თავისი ადგილ-მამული მხოლოდ „30 ურემ სიმინდს აძლევდა, ორმოციოდე ჩაფ ღვინოს და ათიოდე ბათმა ლობიოს“, იმას მეტი მუშაობა სჭი-

---

*) აქ არ ვეხები „სოლომონ მორბელაძეს“, რადგან მას ჩემი წერილის აზრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. გ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათოლიკეთა საჭიროებისათვის. საბჭომ ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ამ ჟამად შეუძლებლად სცნო

გამგეობის მოხსენება განსვენებულ **დ. ზ. სარაჯიშვილის მიწის** (კობისა და წყნეთის ქუჩის კუთხეში) მოწყობის შესახებ საბჭომ უკამათოდ მიიღო.

სასამართლო

ს.-დ. პარტიის საქმე

ბათომი. ტფ. სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, 28 თებერვალს უნდა განეხილა საქმე: ექიმის ა. ნ. შატილოვისა, პროვიზორის ზ. გ. ჩიჩუასი, მასწავლებლის რ. გ. რამიშვილისა, ი. ა. სინაურიძისა, ვ. გ. ჯიბლაძისა და ა. გ. ბერძენიშვილისა, რომელთაც ს.-დემოკრატების პარტიის წევრობა ბრალდებოდათ და სამართალში 102 მუხ. ძალით იყვნენ მიცემული. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფ. ვექილები: თავ. ბარათაშვილი, დოლუხანოვი, კაჩუხოვი და გეორგაძე. დამცველებმა შუამდგომლობა აღძრეს საქმის განხილვა სხვა დროისთვის გადაიდოს, საბრალმდებლო ოქმი ხელახლა შეადგინონ, ხელნაწერების შესამოწმებლად ექსპერტები მიიწვიონ და რამდენიმე მოწმე დაიბარონ. ამ შუამდგომლობას ისინი ასაბუთებდნენ წინასწარ გამოძიების დროს უკანონობის მოხდენით.

საგანგებო საკრებულომ უარჰყო შუამდგომლობა საბრალმდებლო ოქმის ხელახლა შედგენისა და მოწმეების გამოწვევის შესახებ. დანარჩენი შუამდგომლობა შეიწყნარა და საქმის განხილვა გადაიდო.

საქმე უკანონო შვილების შესახებ.

ამ დღეებში სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში გაირჩა საყურადღებო საქმე უკანონო შვილების შესახებ. იერემია ნიკოლაიშვილს უკანონო ცოლის — დარია ბლაგოდატნასთან მისცემია ორი ქალი. ნიკოლაიშვილმა პირობა მისცა ქალს წელიწადში 600 მანეთი ეძლია სანამ ქალები დაიზრდებოდნენ და გათხოვდებოდნენ. მაგრამ ნიკოლაიშვილი მალე გარდაიცვალა და მისი ქონება მემკვიდრეობით მის შვილს კონსტანტინეს დარჩა. უკანასკნელმა ფულის ძლევაზე უარი განაცხადა, რადგან მამის ვალები კანონით მემკვიდრეობაზე არ გადადისო. ტფილისის ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა, რომ ნიკოლაიშვილის შვილს უნდა ეხადნა ფული. მაგრამ ქუთაისის ოლქის სასამართლომ და აგრეთვე ტფილისის პალატამ ეს განაჩენი უარჰყვეს. სენატმა პალატის განაჩენი გააუქმა და ხელმეორედ განსახილველად დააბრუნა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა

როგორც გადმოგვცეს, წიგნი უკვე იბეჭდება „წიგ. გამომც. ქართვ. ამხ. სტამბა“-ში. ამ ჟამად მზად არის ოცი ფორმა, დამთავრებულია ლექსები და დაიწყო პოემები. ამ დღეებში პოემებსაც დაამთავრებენ და შეუდგებიან მოთხრობებს. სტამბის გამგე ბ. ალ. ჯაბადარი დაჰპირდა სარედაქციო კომისიას, რომ ეცდება მცირე ნაკლიც კი არ იყოს ბეჭდვის დროს. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს კორექტურას. აქ დიდი სიფრთხილე საჭიროა, რადგანაც წინად დაბეჭდილ გამოცემებში, და თვით მგოსნის ხელთნაწერებშიაც, ხშირად ერთი და იგივე სიტყვა სხვა და სხვა სახით არის ნახმარი. ზოგჯერ ძნელი გასარკვევია: კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, თუ ავტორის მიერ ნახმარ ფორმასთან.

დიდი სურათები მხატვრის მიერ ჯერ სუყველა არ არის დამზადებული. დამთავრების უმალ, ეს სურათებიც გაიგზავნება პეტერბურგში ფოტოტიპების დასამზადებლად. ამ დღეებშივე გადაიღებენ ფოტოგრაფიას ილიას სურათისას, რომელიც სათ.-აზნ. ბანკის დარბაზშია. ეს ფოტოგრაფიაც გაიგზავნება პეტერბურგში ფოტოტიპის გასაკეთებლად.

გამოცემის საქმე ნივთიერადაც კარგად მიდის. ეტყობა ჩვენს საზოგადოებაში დიდი მოთხოვნილებაა ამ გვარ გამოცემისა. მხოლოდ ზოგიერთი პროვინციის აგენტები მეტად აგვიანებენ ანგარიშებისა და ფულების ჩაბარებას. სარედაქციო კომისიას გადაუწყვეტია განსაკუთრებული ზომები მიიღოს, რათა აგენტებმა მოკლე ხანში საბოლოოდ გაასწორონ ანგარიშები.

მიხედავად საქმის სირთულისა და სიძნელისა, კომისია იმედოვნებს, რომ წიგნი მზად იქნება ამ წლის შემოდგომისათვის.

ქუთაისის ავ-კარგი

ორი წელიწადია, რაც ქართულ გიმნაზიის გამგე ბ-ნი ოცხელის წყალობით გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლეები ზაფხულობით ეცნობიან ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეს და ახალგაზრდა ექსკურსანტები ნახულ და გაგონილს თავისი მოგზაურობის დროს უზიარებენ თავის ამხანაგებს, მათ მშობლებს და მასწავლებლებს.

ერთი ასეთი ექსკურსია მოხდა შარშან ზაფხულს, როდესაც 11 ახალგაზრდამ მასწავლებელ დ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით შემოიარა იმერეთისა და ქართლის ერთი ნაწილი და კახეთი.

25 თებერვალს ქართულ გიმნაზიაში გაიმართა ექსკურსანტ-მოსწავლეების დილა, რომელსაც დაესწრენ მოსწავლეთა მშობლები და მასწავლებლები.

დილა იმით დაიწყო, რომ ექსკურსანტების ხელმძღვანელმა წაიკითხა რეფერატი ექსკურსიების მნიშვნელობაზე საზოგადოდ და კერძოდ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეების შესწავლაზე; ამას მოჰყვა თვით ექსკურსანტების მოხსენებანი, რომელნიც ეხებოდენ როგორც ნახულ ადგილების აღწერას ისტორიულ, ეკონომიურ და გეოგრაფიულის მხრით ისე მოგზაურთაგან მიღებულ შთაბეჭდილებას ამა თუ იმ ადგილების ან ნაშთების ნახვით.

დილის გამმართველთ მოხსენებათა გარდა დილა მუსიკალური და ვოკალური განყოფილით შეევსოთ და მიუხედავათ იმისა, რომ დილა დიდ ხანს გაგრძელდა, დამსწრე საზოგადოებამ სრული კმაყოფილება მიიღო.

მოგზაურთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს მეშვიდე კლასის მოსწავლემ მებუკემ და მერვე კლასის მოსწავლემ ყიფიანმა, რომელთაგან პირველმა წაიკითხა თავისი ლექსი კახეთის ნახვით გამოწვეული, ხოლო მეორემ გარდა ლექსისა, წაიკითხა შთაბეჭდილებანი კახეთის შესახებ.

ამ უკანასკნელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეუდარებელი აღწერით კახეთის სილამაზისა და სიკეკლუცისა და ავტორის მიერ განცდილი შთაბეჭდილებით.

ვოკალურმა და მუსიკალურმა ნაწილმა დილისამ არა ნაკლები აღტაცება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში; განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს მე-VII კლ. მოსწავლე კარტოზიამ (ტენორი) და მე-VII კლ. მოსწ. გრ. ასათიანმა, რომელსაც მშვენიერი ტემბრის ბარიტონი აქვს.

⁂

ბ-ნი ვარდენ ლორთქიფანიძე სულ ახალგაზრდა მომღერალია. იგი მეორე წელიწადია, რაც ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელში მეცადინეობს ბ-ნი ბროჯის ხელმძღვანელობით. ამის გამო მას, ვითარცა მომღერალს, ბევრი ვერაფერი მოეთხოვება, ხოლო მის ხმის ავ-კარგის დაფასება ეხლავე შეიძლება.

ამ მხრით ბ-ნ ლორთქიფანიძის ხმა ფას-დაუდებელია, თუ იგი შრომას არ მოერიდა და ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრე განავითარა.

ბ-ნ ლორთქიფანიძის ხმის ტემბრი მას კანტანტეა-სინაზესთან ერთად ხმას სმენისათვის მიმზიდველი სიძლიერე აქვს და ეს არის, რომ მის ხმას, ჯერ კიდევ განუვითარებელს, აღტაცებაში მოჰყავს მსმენელი.

სამწუხაროდ პირველსაცა და მეორე კონცერტს (რომელსაც ქუთაურები მაინცა და მაინც დიდ პატივს არა სცემენ), ხალხი ნაკლებად დაესწრო, ხოლო ვინც კი მოისმინა ბ-ნ ლორთქიფანიძის ხმა, ყველა ერთნაირად აღტაცებულია.

ბ-ნ ლორთქიფანიძეს წრეულს შემოდგომაზე მოსკოვს უნდა წასვლა თავისი ნიჭის განსავითარებლად, თუ ნივთიერმა მხარემ არ შეაფერხა.

ჩვენ შემთხვევა მოგვეცა გავცნობოდით ტფილისის მუსიკალური სკოლის დირექტორის ბ-ნი ნიკოლაევის მიერ მიცემულ მოწმობას, სადაც აღნიშნულია, რომ ბ-ნი ვარდენ ლორთქიფანიძეს თვალსაჩინო ხმა აქვს.

ესეც დიდი საბუთია იმისი, რომ ბ-ნ ლორთქიფანიძეს დახმარება უნდა გაუწიოს, ვისაც კი ეს შეუძლიან.

⁂

როგორც შევიტყვეთ ქართული გიმნაზიის ადმინისტრაცია ნაცვლად ბ-ნ ქვარიანისა, რომელიც ქალაქის გამგეობის წევრად დაამტკიცეს, ახალ მასწავლებელს არ იწვევს. მის გაკვეთილებს ანაწილებს ბ-ნ ვ. ბერიძესა (ქართული ენა და ისტორია) და ჯ. ჯორჯიკიას (ფრანგული ენა) შორის.

⁂

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთათური განყოფილება ამ დღეებში განიხილავს აგრონომი ვასილიევის მოხსენებას უკვე ცნობილი ქაცმენის სითხის შესახებ. ბ-ნი ვასილიევი აპირობს თურმე გააცნოს განყოფილების წევრნი იმ მასალას, რომელიც უკვე შეკრებილია ამ სითხის არა სასურველ მოქმედების შესახებ აქაურ ვენახებზე.

⁂

ამავე კრებაზე სამეურნეო საზოგადოების განყოფილების წევრთ მოხსენდებათ პროექტი სამეურნეო სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ. ხსენებული პროექტით არსებული სამეურნეო სასწავლებელი მევენახეობისა, მებაღეობისა და მეღვინეობის სასწავლებლად გადაკეთდება ოთხი წლის კურსით. მიწათ-მოქმედების სამინისტრო მისცემს შტატის შესანახად ეხლანდელი 3500 მანეთის მაგივრად 10000 მანეთს, რაც შეძლებას მისცემს სასწავლებელს გააფართოვოს კურსი და დასავლეთ საქართველოში არსებულ მეურნეობის უმთავრეს დარგს მეტი ყურადღება მიაქცეს.

საბავშვო სალიტერატურო დილა

გურჯაანის სამინისტრო სასწავლებელში.

ხუთშაბათს, 21 თებერვალს, გურჯაანის სამინისტრო სასწავლებელში რომანოვთა საგვარეულოს სამასი წლის მეფობის იუბილეის აღსანიშნავად გაიმართა საბავშვო სალიტერატურო დილა. დილა შესდგებოდა სამ განყოფილებისაგან, წაკითხული იყო სხვა და სხვა რუსულ-ქართული ლექსები და დრო-გამოშვებით მოსწავლეთაგან შედგენილი მომღერალთა გუნდი ლევ. ძაღლაშვილის მეთაურობით ასრულებდა სხვა და სხვა რუსულ და ქართულ სიმღერებს. ქართულიდან მეტად გრძნობიერად და მწყობრად შესრულეს: „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“, „წარვედ წყლის პირსა“, „თამარის დროშა“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“, „შავი ზეწარი“, „პაპა მყავდა მეომარი“, „ნანა“ და „გალიაში“.

მშვენიერის კილოთი წაიკითხეს ლექსები: მოსწ. ხარატაშვილმა, ზარდიაშვილმა, გ. ნაცვალაშვილმა, ზ. ხარატაშვილმა, ან. როსტომაშვილმა, გ. ნიკოლაშვილმა, ვ. ზარდიაშვილმა, ნაცვალიშვილმა, ან. როსტომაშვილმა და ი. ზარდიაშვილმა. მშვენივრად გვიამბო დიალოგიურად ისტორიული ამბავი: „მეფე და დიმიტრი მღვდელ-მთავარი“ გ. ნაცვალიშვილმა, ი. ზვერიაშვილმა და ალ. ელიზბარაშვილმა. „ქეთო და მელო“ ნ. წულუკიძემ და ან. ელიზბარაშვილმა, „მეფე ერეკლე ომის წინ“, ზ. ხარატიშვილმა, გ. ზარდიაშვილმა და ს. იაკობიშვილმა, „დედა და შვილი“ მ. არაქელოვმა და ვ. ზარდიაშვილმა, „ნიშა და ვანო“ გ. ნიკოლაიშვილმა და ვ. ზვერიაშვილმა. გრძნობიერად წაიკითხეს ლექსები: „ვედრება პატარა გლეხისა“ ზ. ქადაგიშვილმა, „მსუნაგი“ ვარ. ნიკოლაიშვილმა, „საყვარელი სამშობლო“ ივ. პეტრიაშვილმა „კახეთისადმი“, სოლ. იაკობიშვილმა, „მერცხალი“, ვარ. ზარდიაშვილმა, „ქართლის დედას“ ან. როსტომიშვილმა. მოსწავლეთა ბაგეთაგან წარმოთქმული ლექსი და სიმღერა გულის სიღრმემდე სწვდებოდა დამსწრეთ, ხან გვაცინებდა და ხან ცრემლებსა გვგვრიდა: გვატირებდა ჩვენი წარსული, გვაცინებდა მომავლის იმედიანობა შემყურე ამ სოფლის ახალგაზრდათა!..

დილას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

როგორც გადმოგვცეს, იგივე მასწავლებლები ახლო მომავალში აპირებენ საბავშვო წარმოდგენის გამართვას, რაც ფრიად სასიამოვნო არის და სასურველიც ბავშვების გონების განსავითარებლად. კარგს იზამენ საქმის მოთავენი, თუ წარმოდგენისთვის მცირე სასყიდელს დააწესებენ ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი.

ი. ქეთევანიძე.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

დეპეშები.

სათათბიროს კომისიამ მესამე სათათბიროს ნაკაზის განხილვა დაასრულა.

ხალხის ჯანმრთელობის კომისიამ სამი მცირე კომისია დაარსა: ჭლექთან და ლოთობასთან საბრძოლველად და ფარმაცევტთა წესდების პროექტის შესადგენად.

საფინანსო და გზათა კომისიების შეერთებულმა კრებამ განიხილა მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის გზის, ხაზინის მხრივ გამოსყიდვის საკითხი. ხმის უმრავლესობით გამოსყიდვის მოსაზრება სასურველად მიიჩნიეს.

საბიუჯეტო კომისიაში ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სამთო დეპარტამენტის დირექტორმა განმარტება მისცა სათბობ მასალის კრიზის თაობაზე. მან განაცხადა, რომ სამხრეთ ნავთ-სადგურების დაარსების საკითხი მხოლოდ საკანონმდებლო გზით უნდა გადასწყდესო.

საზღვაო უწყებაც უნდა შეუდგეს ფლოტისთვის ნავთის ძებნასო. თუ ქვა-ნახშირი ძნელი საშოვარი იქნება, მაშინ ბალტიის და შავი ზღვის რაიონის რკინის გზებზე შემოიტანენ საზღვარ-გარეთიდან. ამ რიგად ადგილობრივი ქვა-ნახშირით კერძო მრეწველნი ისარგებლებენ.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

4 მარტი.

სტამბოლი. ზავის თაობაზე პორტამ ხაკი-ფაშას ლონდონში ახალი ინსტრუქციები გაუგზავნა.

ათინა. საბერძნეთის ჯარმა არგიროკასტრო დაიპყრო. ოსმალებმა ეპილენისკენ იბრუნეს პირი.

დურაცო. მიღებულ ცნობებით, ბერძნებმა ვალონი და ბერატი დაიპყრეს.

ქაირი. ჯავშნოსანი „ჰამიდიე“ კვლავ ალექსანდრიაში იმყოფება. ეგვიპტეს გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ნეიტრალიტეტი დაცული იქნებაო. საბერძნეთის ცნობით, „ჰამიდიემ“ ალექსანდრიაში ქვანახშირის თადარიგი დაიჭირა.

ბელგრადი. სკუტარიდან იტყობინებიან, რომ „ჰამიდიეს“ ზარბაზნების სროლის დროს დაიჭრა რუსეთის ქვეშევრდომი, მფრინავი კირშტეინი.

ბელგრადი. სკუტარის საალყო ზარბაზნები დაუნიშნეს. ქალაქის ერთი ნაწილი იწვის.

ბელგრადი. ხმებია, რომ ამდღეებში სერბიის ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით მოკავშირე სახელმწიფოთა საფინანსო კონფერენცია მოხდებაო. კონფერენცია პროპორციით გაანაწილებს ოთხ სახელმწიფოთა შორის ოსმალეთის ვალის ნაწილს.

გაზეთებიდან

ადრიანოპოლის ალყა.

რადგანაც სამხედრო მოქმედების გაჭიანურებას ცუდი გავლენა აქვს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე და თან ზარალი მოაქვს მოკავშირეთათვის პოლიტიკაში საზოგადოდ, გადასწყვიტეს ადრიანოპოლის იერიშით აღება მიუხედავად იმისა, რაც უნდა დიდი მსხვერპლი მოითხოვოს ამ საქმემ. ამ გადაწყვეტილებას კავშირი აქვს ღენ. დიმიტრიევის სოფიაში მოსვლასთან. სახელგანთქმული ღენერალი დიდხანს ებაასა მეფე ფერდინანდს. ამბობენ დიმიტრიევი ადრიანოპოლის საალყო ჯარის მთავარ სარდლად დანიშნესო. 1 მარტს უკვე დაიწყო ციხის საერთო იერიში.

სკუტარის ალყა.

სერბია-ჩერნოგორიის შეერთებულ საალყო ჯარის მთავარ ბანაკიდან იტყობინებიან, რომ სკუტარის ციხის გადამწყვეტი იერიში 28 თებერვალს დაიწყო, დილის ით საათზე. ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს ჩერნოგორიის მთავრობას, მშვიდობიან მცხოვრებთ ნება მისცეს სკუტარის ციხიდან გამოსვლისა. ჩერნოგორიის მთავრობამ უარი შეუთვალა.

ბალკანეთი და ევროპა

4 მარტი.

დეპეშები.

ვენა. „პოლიტიშე - კორესპონდენცა“ სოფიიდან ატყობინებენ, რომ დიდი სახელმწიფონი სამშვიდობო მოლაპარაკების მთავარ დებულებათა პროექტს შეიმუშავებენ რითაც მოპირდაპირეთა მორიგებას ნიადაგს უმზადებენო.

ლონდონი. ელჩთა თათბირმა შეიმუშავა მოკავშირე სახელმწიფოთათვის საპასუხო ნოტის ტექსტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ დიდი სახელმწიფონი მზად არიან შუამავლობა იკისრონ. ამასთანავე აღნიშნულია, ბალკანეთის სახელმწიფოთა ახალი მოთხოვნილებანი ბულგარეთ-ოსმალეთის საზღვრის შესახებ უნდა შემცირებული იყოსო. ალბანეთის მოწყობის საკითხს დიდი სახელმწიფონი ელჩთა თათბირს მიანდობენო. ეგეის კუნძულთა თაობაზე დიდი სახელმწიფონი ისევ ძველ აზრს ადგანან. კონტრიბუციის საკითხი კი გადაეცემა პარიზის სპეციალურ საფინანსო კონფერენციას.

„ტაიმსი“ იხილავს მოკავშირეთა საპასუხო ნოტას და აღნიშნავს, რომ მათი მოთხოვნილებანი ფრიად გადაჭარბებულიაო. თუმცა იმედიანობს კი, რომ ბალკანეთის სახელმწიფონი პირობებს შესცვლიან დიდ სახელმწიფოთა გავლენითაო. ევროპა შესძლებს მშვიდობის დამყარებასო, დასძენს გაზეთი, რადგანაც ორივე მოპირდაპირე ჰგრძნობს მის საჭიროებასო.

კონსერვატორთა გაზეთები სასტიკ კრიტიკას უკეთებენ სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვას; განსაკუთრებით აღნიშნავენ ჰაერის ფლოტისთვის გადადებულ ფულის სიმცირეს გერმანიასთან შედარებით.

ვენა. „პოლიტიშე - კორესპონდენცის“ სიტყვით, გადაწყვეტილია პოლონელთა საეროვნო საბრძოლო ორგანიზაციები არ დაითხოვოს, მიუხედავად იმისა, საერთაშორისო ურთიერთობა გაუმჯობესდება თუ გაუარესდება.

გაზეთებიდან.

ზავის პირობები.

ათინიდან იუწყებიან: საზავო პირობებს შორის, საბერძნეთის წინადადებით, მოკავშირეებმა შეიტანეს მუხლი, რომლის ძალითაც ოსმალეთმა ხელუხლებლად უნდა დასტოვოს მოკავშირეთა სახელმწიფოების ქვეშევრდომების შეღავათები.

ღენ. დიმიტრიევის მისია.

ახლო მომავალში ღენ. რადკო დიმიტრიევი პეტერბურგს გაემგზავრება. მას დავალებული აქვს რუსეთ-ბულგარეთის ურთიერთობის გაუმჯობესება. იგი ეცდება აგრეთვე,

---

რდებოდა, „განსხვავებული შრომა“ ესაჭიროებოდა, რომ დღევანდელი ლუკმა ხვალ არ განახევრდებოდა. აი, აზნაურობის ასეთი მდგომარეობის გამომხატველია პლატონ სამანიშვილი. სამანიშვილი თითქმის სასოწარკვეთილებამდის მიუყვანია მამის განზრახვას მეორე ცოლის შერთვის შესახებ, თავისი სცდილობს თავიდან აიცილოს თავისი ადგილის შუაზე გამყოფი ძმა, რომელიც შესაძლოა მისს მამას ეყოლოს მეორე ცოლის ხელში.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ ის ხანა აქვს კლდიაშვილს დასურათებული იმერულ აზნაურთა ცხოვრებიდან, როდესაც ისინი პლ. სამანიშვილის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. დაინახა რა პლატონმა თავისი მამულის მენახევრე, ახლად დაბადებული ვაჟი თავისი მამისა, გამოიყო თავისი ნაწილი ადგილ-მამულისა და განშორდა მამას. ამით თავდება მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

მაგრამ აქედანვე იწყება **მეორე ხანა**, რომლის აღწერასაც მოთხრობა „ქამუშაძის გაჭირვება“ შეადგენს. ეს ორი მოთხრობა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ მეორე პირველის ნამდვილი გაგრძელებაა. „ქამუშაძის გაჭირვება“ პირდაპირ „სამანიშვილის დედინაცვლიდან“ გამომდინარეობს, როგორც ყოველი მოვლენა მის აუცილებელ მიზეზისაგან, სამანიშვილის დროის აზნაური ახალ ცხოვრებას არ იცნობს მთელი მისი სიღრმითა და სიგრძესიგანითო. იგი თავის „ცხვირს იქით“ ვერაფერს ჰხედავს, მისი აზრი მის გზა-გარემოს ვერ გასცილებია, და ამიტომ სწორედ სასაცილოა და თანაც **სატირალი** სამანიშვილის მდგომარეობა. თავის გაჭირვებაში ღრმად ჩახედული კაცი სამანიშვილისებურად არ მოიქცევა. პატრონი თავის სიძის, (კირილე მიმინოშვილის) თანხლებით დიდს საქმეზე მიდის, როგორც თითონა ჰგონია. უნდა ორ ქმარ-ნაყოლი ქალი იპოვოს მამისათვის საცოლედ, და თანაც ისეთი, რომ არც ერთის ხელში შვილი არ მისცემოდეს. თავის სიძისავე რჩევით სამანიშვილი გზა-დაგზა მიმინოშვილის მასპინძლისას შევა ქორწილში დაუპატიჟებლად და მთელს ღამეს ქეიფსა და მოლხენაში, „ვარხარალოს“ ძახილში ატარებს. ბოლოს, ნაცემ ნატყეპსა და ჩოხა ჩამოხეულ სიძე-ცოლისძმას მეზობლისას გადაიყვანენ ღამის გასათევად, სიმთვრალისაგან გონება დაკარგულებს. აქედან მეორე დღეს მასპინძელთან გამოუშვიდობებლად გამოიპარებიან დარცხვენილები. სამანიშვილი დიდი წინდახედული კაცი არ არის და ამით არც ძლიერ იწუხებს თავს. მას აფიქრებს მხოლოდ ნოყიერი, დიდი „ლუკმის შემცირების შიში“. თავის შორეულ მომავალზე, შვილების ბედსა და უბედობაზე იგი სრულებით არა ზრუნავს და არცა ფიქრობს. სამანიშვილს რომ ამისი თავი ჰქონოდა, იგი უეჭველად მიხვდებოდა თავის სასაცილო მდგომარეობას, რომელშიც მას აგდებდა უბედურების თავიდან ასაცილებლად გამოგონილი „საშუალება“. დღეს რომ საკუთრადაც შერჩეს პლატონს თავისი მამული, ხვალ, სულერთია, მისი შვილები დაინაწილებენ მას და იმ ლუკმის შემცირება, რომლის შენარჩუნებასაც იგი სცდილობს, მის შვილებს მაინც არ ასცდებათ.

„ქამუშაძის გაჭირვება“-ში ის მომენტი აქვს აღებული ჩვენს ბელეტრისტს, როცა მუშაობას შეუჩვეველმა, გაღარიბებულმა, მაგრამ ჯერ ისე მოამპარტავნე და თითქმის კუდაბზიკა თავად-აზნაურობამ მთელის სიმწარით იგრძნო თავისი აუტანელი მდგომარეობა, უკიდურეს უსახსრობით გამოწვეული. მიწის „ჩამოჭრისა“ და გაყიდვაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა, ამიტომ აზნაურებმა თითონ მოჰკიდეს ხვნა-თესვას ხელი და იმ გლეხს ამოუდგნენ გვერდში, რომელმაც ქამუშაძის ნამოსახლარზე „ახალი მოსახლეობა გაჰმართა“. ვისაც კი მიწის მუშაობა სულ არ შეეძლო, ვინც „შემოსწრებული ცხოვრების შეუბრალებელ პირობებს“ რიგიანის საშუალებით არ შეჰგუებოდა, ის სარდიონ ქვლიძის გზას დასდგომოდა. „ახალ ცხოვრებისითვის მოუმზადებელი, ყოველ სახსარს მოკლებული სარდიონი აწრიალდა, საჭირო იყო რითიმე ერჩინა თავისი ცოლ-შვილი, რამე ელონა, რამე გზა ენახა, ოჯახში ცოტაოდენი რამ შემოეტანა და წლიდან-წლამდი თავი გაეტანა“. დიდი ფიქრისა და ვაი-უბედურების შემდეგ გადასწყვიტა ქვლიძემ „სოფლის სასამართლოში ვექილობა დაეწყო, გლეხების საჩივრები ეწარმოებინა“. ასეც მოიქცა იგი. ნამდვილი, ტიპიური წურბელა-ადვოკატია სარდიონ ქვლიძე, რომელიც „მოშივებულ მგელსავით აღარაფერს ერიდებოდა, ოღონდ კი რამე ეშოვა, რამეს გამორჩენოდა; უკან აღარ იხევდა განგებ აეტეხნა სადმე საჩივარი... ხშირად ორივე მხარეს არიგებდა და მომჩივანისაგანაც და მოპასუხისაგანაც სარგებლობას არ ჰკარგავდა“. სხვა საშუალება რომ არა ჰქონდა „ამ ნაშოვარით ცდილობდა გაჰყოლოდა ცხოვრებას, ცდილობდა დაეფარა ოჯახის დაქვეითება, დაემალა სიღარიბე და დაეცვა ოჯახის კეთილშობილობა, გარეგნულად მაინცა“,— დასძენს ავტორი. ეხლანდელი აზნაური კი, დღევანდელი და არა ქამუშაძის დროისა, ისე აღარ თაკილობს „ყაზახურ მუშაობას“, როგორც ჯერ კიდევ ყალბი აზნაურის კანში მყოფი ქამუშაძე. ყანაში მომუშავეს, ტალახში ამოსვრილ „ქამუშაძეს შერცხვა, რომ ამ სახით უნდა ჩვენებოდა თავის ცოლს“, ქალაქელ სონიას, რომელიც მას მოულოდნელად ეწვია ყანაში დედამთილის თანხლებით; ქამუშაძის ცოლსაც „სცხვენოდა, რომ **მისი ქმარი**, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, **წოდებით აზნაური, ნამდვილი გლეხი იყო, მუშა გლეხი**“. (აზრი ყველგან ჩვენია). „ამას ხედავდა, ამას გრძნობდა სონია და შელახული მისი თავმოყვარეობა უცნაურად ამუშავებდა მის გონებას“, სამარცხვინო მდგომარეობიდან გამოსასვლელად. რასაკვირველია, ხანგრძლივ, მუყაით მუშაობას შეუჩვეველი აზნაურობა თითქმის უნაყოფოდ შრომობდა; მისი მძიმე მუშაობა შესაფერის მოსავალით ვერ დააჯილდოებდა მას. ქამუშაძეს რომ შინ ნაყოფიერი მუშაობა შესძლებოდა და სხვაფრივაც ხეირი ჰქონდა, ქალაქსაც აღარ მიაშურებდა. მიწის მუშაობის გარდა „სხვა საქმესაც ხელს უწყებდა ოტია, მაგრამ ხეირს ვერაფერს ხედავდა, თუმცა ყოველთვის თავად საქმე არ ყოფილა ისეთი, რომ კაცისათვის უსარგებლო ყოფილიყო—ოღონდ **მის ხელში კი გამოუყენებელი ხდებოდა**“-ო, გვეუბნება კლდიაშვილი. აწმყოზე მზრუნველი ქამუშაძე მომავალზეც დააფიქრა ცოლის გამაფხიზლებელმა სიტყვებმა, თუმცა იგიც ერთი თავშეუდებელი და მიუხვდომელი კაცია; მას შესაფერისი ღონისძიებისათვის ვერ მიუგნია.

(შემდეგი იქნება)

გ. ჭუმბურიძე.

რათა რუსეთის უმაღლესი წრეები მოიმხროს ბულგარეთ-რუმინიის დავისა და ამისგან გამოწვეული სხვა საკითხების განხილვის დროს.

ბულგარეთ-რუმინიის დავა.

გამოირკვა, რომ ბულგარეთ-რუმინიის დავის განსახილველად პეტერბურგში მოწვეული ელჩთა თათბირი. პირველ სხდომას მომავალ კვირაში გამართავს. ამბობენ, რომ ამ დროისთვის პეტერბურგში მივა ბულგარეთის პარალამენტის თავმჯდომარე დანევიი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

4 მარტი.

საზღვარ-გარედ

კუანჩენძი. ქალაქში დიდი მღელვარება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ იაპონიის პოლიციამ ჩანჩუნის სადგურზე აწამა ჩინელნი, რომელთაც ქურდობა ჰბრალდებოდათ. ამის თაობაზე პროკლამაციებს ავრცელებენ.

ამბერიე. მფრინავი მერსიე საფრენიანად ჩამოვარდა და გარდაიცვალა.

ურგა. ხუტუსტის უკანასკნელ დეპეშაზე, რომელიც ფრიად უკმეხის და გამომწვევის კილოთი არის შედგენილი, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიამ უპასუხა: ჩინეთის მთავრობა ყოველივე კავშირსა სწყვეტს მონღოლეთის მთავრობასთან, რადგანაც მისი კეთილი ზრახვანი მონღოლელთ სამართლიანად ვერა გაუგიათო.

ბრიუსელი. სოციალისტთა საეროვნო საბჭომ გადასწყვიტა, წინადადება მისცეს პარტიის კრებას, რომელიც სააღდგომოდ შეიკრიბება, პირველ აპრილისთვის საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადოს. გაფიცვა იმით არის გამოწვეული, რომ მთავრობამ უარი განაცხადა კონსტიტუციის გადათვალიერებაზე.

ნიუ-იორკი. გუშინ-ღამ ბოროტგამზრახველებმა გამოანგრიეს ლომბარდის კედელი და გაიტაცეს 250,000 დოლარად ღირებული ძვირფასი ნივთები, წაიღეს აგრეთვე 70 მილიონის აქციები.

ტოკიო. ოსაკში კონსტიტუციის დამცველთა მიტინგი მოხდა. მიტინგს 20.000 კაცი დაესწრო. მიტინგის რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ იამომატოს კაბინეტმა გააძლიერა კლანი სატსუმის გავლენა.

ვაშინგტონი. კონგრესის საგანგებო სესია მოქმედებას 25 მარტს დაიწყებს.

რუსეთი.

პეტერბურგი. მიმდინარე თვეს ეკატერინობურგში ოქროს მრეწველთა მეთორმეტე მორიგი კრება მოხდება.

მოსკოვი. „სტუდენჩესკოე დელო“ მეთაურის გამო 500 მანეთით დააჯარიმეს.

რუსეთი

მინისტრის გადადგომა.

სენატორ მოდემის მოხსენების გამო, გზათა მინისტრ რუხლოვის მიცემულმა განმარტებამ ვერავინ ვერ დააკმაყოფილა. გზათა სამინისტროში დაჟინებით ლაპარაკობენ რუხლოვის თანამდებობიდან გადადგომაზე. რუხლოვი უკვე აღნიშნულია სახელმწიფო საბჭოს წევრად, მაგრამ მინისტრის თანამდებობას მაინც ასრულებს. როგორც ირწმუნებიან, მისი გადადგომა რამდენიმე დღის საკითხია. უკვე ასახელებენ რუხლოვის მემკვიდრეს—ნიკოლაევის რკინის გზის უფროსს ივანოვსკის და სამხრეთ-დასავლეთ გზათა უფროსს ნამინისტრალ ნემეშაევს.

რუხლოვის გადადგომასთან ერთად, თანამდებობას თავს დაანებებს გზათა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ტუგან-ბარანოვსკიც.

რუხლოვის მოსარჩლენი.

როგორც კი ხმა გავრცელდა, რუხლოვის გადადგომის თაობაზე პურიშკევიჩმა სახელდახელოდ მოახდინა მემარჯვენეთა კრება და განუცხადა, საჭიროა ვიღონოთ რამე, რათა რუხლოვი თავის ადგილზე დარჩესო. პურიშკევიჩის აზრით, რუხლოვი მსხვერპლია კადეტთა გავლენისა მინისტრთა საბჭოზე. რუხლოვი საშიში ყოფილა არა მარტო იმისთვის, რომ ძირიანად აღმოფხვრა „კრამოლა“ რკინის გზაზე, არამედ იმისთვისაც, რომ რუხლოვი მინისტრთა საბჭოში მემარჯვენეთა მიმართულებას იცავსო. პურიშკევიჩის აზრით, რუხლოვის ნაცვლად თუ ნემეშაევი დაინიშნა, მარცხენა ფრთა მინისტრთა საგრძნობლად გაძლიერდება, რადგანაც ნემეშაევი მოწაფე და მიმდევარია გრ. ვიტესი, რომელთანაც იგი მუშაობდა დამღუპველ ტენდენციების გაფურჩქვნის ხანაში. მემარჯვენეებმა გადასწყვიტეს იშუამდგომლონ, რათა რუხლოვი ისევ თავის თანამდებობაზე დასტოვონ.

სასულიერო სასწავლებლები და მასწავლებელნი.

როდესაც სასულიერო სასწავლებლებში არქიეპისკოპოს ანტონის და სერგეის გეგმოვნებით შეიტანეს ცვლილებანი, პრესა ხმა-მაღლა გასძახოდა, რომ ამგვარ რეფორმას მასწავლებლების გაქცევა მოჰყვებაო. როგორც სინოდის სამოსწავლო კომიტეტის მიერ შეკრებილ ცნობებით გამოირკვა, პრესის შიში ტყუილი არა ყოფილა. უკანასკნელ სამიწლის განმავლობაში ყოველ წლივ სასულიერო სასწავლებელს გაურბოდა 10,8—28% მასწავლებლებისა. საგულისხმო ის არის, რომ სასწავლებელს სტოვებენ არა მარტო მასწავლებელნი, არამედ უფროსებიც, რექტორები, ინსპექტორები და სხვა. 1909 წელს, როცა არქიეპ. ანტონიმ და სერგეიმ პირველად შეიტანეს სასულიერო სასწავლებლებში თვისი ცვლილებანი, გაქცეულთა რიცხვი უდრიდა 18,4%.

1910 წელს, როცა ობერ-პროკურორად ლუკიანოვი იყო, რომელიც არ იზიარებდა არქიეპისკოპოზთა აზრებს, გაქცეულთა რიცხვმა იკლო. მხოლოდ 13,3%. 1911 წელს, როდესაც ლუკიანოვმა დაასრულა სააკადემიო ახალ წესდების შემუშავება, გაქცეულ მასწავლებელთა რიცხვმა 10,8% დაიწია. სინოდის ობერ-პროკურორად საბლერი დაინიშნა, რომელმაც სრული თავისუფლება მიანიჭა არქიეპ. ანტონის და სერგეის თავისებურად ჩამოეყალიბებინათ სასულიერო სასწავლებლები. ამის გამო გაქცეულთა რიცხვი 1912 წელს 28 პროცენტამდე ავიდა.

ლოპუხინი ციმბირში.

ლოპუხინის განთავისუფლების ხმები მტკიცდება. უკანასკნელ დროს, „ვეჩერ. ვრ.“ სიტყვით, ლოპუხინი კრასნოიარსკში სცხოვრობდა და ციმბირის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში მსახურებდა. მასთანვე სცხოვრობდა მისი მეუღლე, ორი ქალი და მათი აღმზრდელი ინგლისელი ქალი მინოლიტი. ციმბირში მისვლისას, მხოლოდ მცირე ხანს იყო ლოპუხინი დანაღვლიანებული. ლოპუხინმა დაიწყო მუშაობა თვის წერილების შედგენაზე. ჯერ კიდევ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორობის დროს ლოპუხინი აგროვებდა მასალას რუსეთში სარევოლიუციო მოძრაობის თაობაზე. ბევრი მიჰმართავდა ხოლმე ლოპუხინს რჩევისთვის. ოქროს მრეწველთა ერთმა ამხანაგობამ ლოპუხინს იურისკონსულტობა შესთავაზა. ადგილობრივი ადმინისტრაცია კარგად ექცეოდა ლოპუხინს; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ენისეის გუბერნატორად დაინიშნა ბოლოგოვსკი. როდესაც ლოპუხინი პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად იყო, ბოლოგოვსკი ლოპუხინთან ვიცე-დირექტორად ყოფილა. გავლენიანი პირნი, ლოპუხინის ნათესავნი შუამდგომლობდნენ მის განთავისუფლებას, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. ლოპუხინი ჯერ ტომსკში გაემგზავრება, შემდეგ პეტერბურგში მივა. როგორც ლაპარაკობენ, ლოპუხინი სამუდამოდ მოსკოვში დაბინავდება. სტოლიპინი სკოლის ამხანაგი იყო ლოპუხინისა. სარატოვის გუბერნატორობის დროს იგი არ სწყვეტდა კავშირს ლოპუხინთან. როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ლოპუხინი მოიწვია ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს უფროსად. ლოპუხინი დასთანხმდა სტოლიპინს და საზღვარ-გარედ გაემართა. აქ მან ინახულა ბურცევი, რომელმაც ყოველი მისი საქციელი გამოამჟღავნა, რასაც ლოპუხინის გასამართლება და სასჯელი მოჰყვა.

კასო და საუნივერსიტეტო წესდება.

სახალხო განათლების მინისტრი კასო იმ აზრისა იყო, რომ ჯერ არ დამდგარა დრო საუნივერსიტეტო წესდების შეცვლისაო; მაგრამ შემდეგ მინისტრმა აზრი შეიცვალა და მისი განკარგულებით სამინისტროში შესდგა განსაკუთრებული კომისია ახალ წესდების შესამუშავებლად. როგორც გავიგეთ, მინისტრის აზრის შეცვლა შემდეგ გარემოებას გამოუწვევია.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ერთ ფრიად გავლენიანი და წარჩინებულ პროფესორს წარუდგენია მოხსენება უნივერსიტეტის საქმეთა ვითარების თაობაზე. მოხსენებას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია კასოზე და გადაუწყვეტია რომ საქმის შეფერხება ყოვლად შეუძლებელია და მოუწვევია კიდეც ზემოდ აღნიშნული კომისია. კასო დამორჩილდა გარემოებასა, მაგრამ არც მოხსენების ავტორი გადარჩა უვნებლად.

ხვოსტოვის პენსია.

ნიჟეგოროდის გუბერნატორად ნამყოფ სახელმწიფო სათათბიროს წევრს ხვოსტოვს, მინისტრთა საბჭომ პენსიად წელიწადში 2,500 მანეთი დაუნიშნა.

პეტერბურგის თვითმართველობაში.

როგორც ვიცით, პეტერბურგის მოურავი გლაზუნოვი გარდაიცვალა. ქალაქის საბჭოში დიდი მოთქმა და ლაპარაკია, თუ ვინ აირჩიონ გლაზუნოვის ნაცვლად. ამ საკითხს სხვა და სხვა ჯგუფი იხილავს. მაგრამ არცერთ ჯგუფს არ ეტყობა ერთსულოვნება და გარკვეულობა. ქალაქის მოურავად სხვა და სხვა პირს ასახელებენ, სხვათა შორის ა. ი. გუჩკოვსაც. ოქტომბრისტებს ძალიან გულით უნდათ გუჩკოვი გაიყვანონ არჩევნებში; იმედი აქვთ, რომ გუჩკოვის კანდიდატურას მხარს დაუჭერენ ძველი ხმოსნები.

უსიამოვნება სამხედრო სალამის გამო.

პეტერბურგის სამხედრო აკადემიის სტუდენტმა მარკოვინმა ქუჩაში სამხედრო სალამი არ მისცა შტაბს-კაპიტან სოლომონოვს. სოლომონოვმა უკმეხის კილოთი შენიშვნა მისცა. სტუდენტმა სილა შემოჰკრა. უკანასკნელმა ხმალი იშიშვლა და მარკოვინი თავში მძიმედ დასჭრა. დაჭრილი იმყოფება პროფ. ფედოროვის სადოსტაქრო განყოფილებაში. ავადმყოფთან განუყრელად არის მისი დედა და მორიგეობენ ორი ამხანაგი.

მარკოვინთან საავადმყოფოში ორი ოფიცერი მივიდა, სოლომონოვის სეკუნდანტები. სოლომონოვი დუელში იწვევს მარკოვინს. პროფესორმა ფედოროვმა ოფიცრები ავადმყოფთან არ შეუშვა.

5 დღის თავისუფლება.

27 თებერვალს პეტერბურგში, ჩხრეკა და დაპატიმრება მოხდა. ღამით ბევრი მუშა შეიპყრეს. სხვათა შორის შეიპყრეს, ოთხი კაცი, რომელნიც განთავისუფლებულნი იყვნენ 22 თებერვალს ამნისტიის ძალით. ასე, რომ თავისუფლად მხოლოდ ხუთ დღეს იყვნენ.

თეატრი და ხელოვნება

ბაბილინამ სთარგმნა **დ'ანუნციოს** სამ მოქმედებიანი დრამა **„იაული იორიოსი“**. ამ დრამას ამ ახლო მომავალში ბ-ნი ა. წუწუნავა დასდგავს ზუბალაშვილის სახალხო სახლში.

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. დღეს, 6 მარტს ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრე გაუმართავს ბენეფისს თავის საყვარელ რეჟისორს **ბ. ალ. წუწუნავას.** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება: 1) **„შეშლილები“** ტრ. რამიშვილისა, 2) **სადგური** (უკანასკნელი მოქ. „სოფლის გმირებისა“), 3) **„რომელი ერთი?“** პირველად ტფილისში ტრ. ეპ. ბანკოს აჩრდილისა, თარგ. მ. ქორელის. ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.

წერილ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქვემო-მაჩხაანში მცხოვრებთ, რომლებმაც დახმარება გამიწიეს და შეიტანეს ჩემს მაგიერ [illegible] სასწავლებელში ერთი ნაწილი სწავლის ფულისა. დამხმარეთა გვარები: ალ. ხითაროვმა და ბ. გ. ორ-ორი მანეთი; ვ. ნადიროვმა, ტურიაშვილმა, ჯანდიერმა, ფავლენოვმა და მირიანოვმა თითო მან., ოლ. ნატროშვილმა და ნ. კორაშვილმა ათ-ათი შაური. სულ 10 მან.

პატივისცემით **იოსებ ჯერანაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ, თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით, უღრმესი მადლობა მოვახსენოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს ბაქოს ქართველ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში, 24 თებერვალს ამ 1913 წ. და განსაკუთრებით კი მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის, კნ. თამარ გელოვანისას, ქ-ნ ალ. ახობაძისას, ლადო ახობაძეს, პავლე ქარუმიძეს, ბ. ქორქოლიანს, თ-დ ჯ. გელოვანს, თ-დ ფავლენიშვილს, ბ. ამაშუკელს, გ. მატარაძეს, ალ. ნადირაძეს, მის მეუღლეს და სხვათა, რომელთაც თავისი წვლილი შემოიტანეს და რითიმე დახმარება აღმოგვიჩინეს.

უღრმესის პატივის-ცემით ბაქოს ქართველ ქალთა საზოგადოების წევრი-ხაზინადარი **დარო მახარობლიძისა.**

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქციას, ბატონ კ. ფუტნერსა და ბ-ნ ი. ცეცხლაძეს, რომელთაც შემოსწირეს ხაშურის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს უფასოდ, პირველმა ნახევარი წლით გაზეთი „ზაკავკაზიე“, მეორემ ოც-და-ათი ცალი წიგნი ღირებული 6 მანეთად და უკანასკნელმა „სასოფლო გაზეთი“ ერთი წლით და წიგნებიც ოთხი მანეთისა, რაზედაც ულრმეს მადლობას ვწირავთ ზემოაღნიშნულთ.

გამგეობის წევრნი **იოსებ ძნელაძე და ტრიფონ ჯაფარიძე.**

ჩაუბარებელი დეპეშები

3 მარტისა: ბაქოდან უსეინოვს, სლავიანსკიდან—ახნაზაროვს, ელისავეტგრადიდან—როსტომაშვილს კრასნიდან—რომანოვს, კასლოვოდსკიდან—მირზოევ-სას.

რედაქტორ-გამომცემელი **ა. ჭუმბაძე.**

განცხადებანი

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგახართვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახთვი: 10—11 ს. საშვილოსნო. ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. სიბერიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**
1004

ავადმყოფთ

„სერმინ-პელა“-ს მწარმოებელ ავადმყოფთ დიდ იმედით რეკლამებით [illegible] **რომელთაც არაფერი არ უწყიათ ის წამლები.** [illegible]

[illegible] „სერმინ-პელა“ [illegible] ... **სერმინ-პელა** [illegible]

სერმინ-პელა ყველა აფთიაქებსა და საფთიაქო მაღაზიებში იშოვება.

ორგანოთერაპიული ინსტიტუტი
პროფესორი ეჟ. პელ შვილებით
მის იმპერატ. უდიდებულ.
იჯარადარნი
ს. პეტერბურგი.
1479 1068

თესლეულობა

საუკეთესო ხარისხისა, ნაცადი, არაოდეს არ მოსცდება, ხახვის ღივი, ნერგები, მცენარეთა ნერგები, ადრეული კარტოფილი. ფასები სიძლიერისა.
ს. მ. კოვალის თესლეულობის დეპო. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, № 27. 1087.

დაკარგე

ახლად შეკერილი ქილეტი შაბათს, 2 მარტს. მპოვნელს სთხოვს მიიტანოს ფილოსოფიის ქუჩაზე, № 22. მპოვნელი ჯილდოს მიიღებს. 1093.
ხერხეულ უბნისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ტფილისის მცხოვრებთ, რომ მგზავრს, რომელსაც **გადა საჯდომი ბილეთი** აქვს აღებული, შეუძლიან ტრამვაის მეორე ვაგონში გადაჯდეს [illegible] **მარშრუტი № 1**—ზემელის აფთიაქთან, **მარშრუტი № 2**—ერევნის მოედანზე, **№ 3**—ვორონცოვის ძეგლთან, **№ 4**—ალექსანდრის მოედანზე, [illegible] **მარშრუტი № 6**—ვორონცოვის ძეგლთან, **№ 9**—ერევნის მოედანზე. [illegible] ფასი 5 კაპეიკი.
გადასაჯდომი ბილეთები მთელი დღის განმავლობაში გამოდგება, [illegible]
თუ ტრამვაის მოსამსახურენი [illegible] 1063

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის პიესა **„მეოცნებე“.** დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა **„გ ა მ ც ე მ ი“.** დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, ქვირითის (კამჩ.) **ზიზილალა**
თევზის მრეწველნი
მმ. ძმელოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,** და ჰოლანდიური **კონსერვები.** მოგვდის მუდამ დღე საკუთარი მრეწველობიდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ბიტეა), ორაგული, თართი, ტარაღანა, [illegible] და სხვა. აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული ღორის ზურგი,** და ჰოლანდიური **ყველი** [illegible]

ნამდვილი მკერავი მანქანა

25 მან. ნაცვლად, მხოლოდ 4 მან. 95 კ.-დ.

უკანასკნელი სასწაული — ახალი ამბავი XX საუკუნის



ტეხნიკის განვითარების წყალობით [illegible] „TAURU“ [illegible] „TAURU“ [illegible]
И. Шрунфельтъ, Варшава, Электоральная № 13. отд. 14. [illegible] 1064

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება საუკეთესო წიგნები:

ოქროს ფული. ლ. ტოლსტოისა. გამოცემა 1911 წ. ფ. 2
მოთხრობათა კრებული. [illegible] 1911 წ. 2
იოანე სარდალი. ნათ. ი. ყიფიანისაგან [illegible] 1912 წ. 3
მირიელ ეპისკ. ვიქ. ჰიუგოსი [illegible] 3
სამი მოთხ. [illegible] 1912 წ. 3
[illegible] 1911 წ. 3
[illegible] 1912 წ. 3
მოგზაური. გამოკ. ლ. [illegible] 1911 წ. 2
ცხოვრების გზა. ალ. ჯირაბიშვილის [illegible] 1911 წ. 2

ახალი წიგნები და სურათები:

სიტყვანი დავით აღმაშენებელისა. ტფ. 1912 წ. ფ. 10 კ.
Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу. ფ. ი. ცაგარელისა, [illegible] 1912 წ. ფ. 1 მან.
ვლ. მესხიშვილის სურათი დიდი 50
ქართ. არტისტ. [illegible] სურათი დიდი 50

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

ტფილისი, მ. [illegible] ქუჩა, სტამბა „შრომა“.